ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5073832

ნომერი: AR1767778

თარიღი : 17.08.2020

გაცემის თარიღი : 21.08.2020

გაცნობის თარიღი : 21.08.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2019 წლის (11/07/2019) № 4584044 ბრძანებით მიწის ნაკვეთზე გაიცა ახალი გაპი სასტუმროს ასაშენებლად. ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №3640415 და 2017 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №3733197;

2019 წლის 11 ივლისის № 4584044 ბრძანებით დადგენილი სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე ს/კ 01.18.05.001.006 არსებულ მიწის ნაკვეთზე № 4662782 (09/09/2019) ბრძანებით შეთანხმდა სასტუმროს პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (№ 4687616;26/09/2019);

აქედან გამომდინარე, 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანება ძალადაკარგულია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება აღნიშნულ ბრძანებაში.

ინფორამციის სახით გახნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

(სსზ-2) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში(როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე)ტერიტორიებს;

საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ში საცხოვრებელი ფუნქციის განთავსების საკითხი საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

სპეციალური ზონალური შეთანხმების მისაღებად თავდაპირველად საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.